თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

12.09.2023

N 4078

თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის

გამგეობის თავმჯდომარეს

ბ-ნ ა. მიდელაშვილს

ბატონო ავთანდილ,

სს „საქართველოს რკინიგზა"-მ განიხილა კოოპერატივ „თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივი"-ს 2023 წლის 31 აგვისტოს N6 განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ კოოპერატივს საკუთრებაში გააჩნია ქ. თბილისში, კონსტანტინე სტანისლავსკის ქ.N11-ში მდებარე უძრავი ქონება საკ. კოდით 01.13.06.004.019, რომელზეც დაგეგმილია საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და რკინიგზისგან ითხოვს წებართვას ტერიტორიის სამშენებლოდ გამოყენებაზე და შესაბამისად მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებაზე.

ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი მასალის მიხედვით, 01.13.06.004.019 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება რკინიგზის განსვენების ზოლიდან დაშორებულია არანაკლებ 27 მეტრით, ხოლო განაშენის მისაწვდომი ღობიდან - 42 მეტრით. რკინიგზის საკუთრებაში არსებული მიწის ზოლიდან დაშორება არ ეწინააღმდეგება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის (რომელიც საქართველოში სამოქმედოდ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის N50 და 2014 წლის 14 იანვრის დადგენილებებით) 3.3.1 (ე).27) პუნქტის მოთხოვნას (არანაკლებ 15 მ).

ვინაიდან ინფრასტრუქტურის მეურნეობების ბალანსზე რიცხული მიწისზოლის ან/და მიწის ქვეშ არსებული აქტივები (კომუნიკაციები) წარმოდგენილ ტერიტორიაზე არ არის განლაგებული, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენება და შესაბამისად მასზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება რკინიგზის მეურნეობების საოპერაციო საქმიანობას ხელს არ შეუშლის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სს „საქართველოს რკინიგზა" თანახმაა მოხდეს კოოპერატივის საკუთრებაში არსებული მიწის ფართის (საკ. კოდი 01.13.06.004.019) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება და მასზე განხორციელდეს საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

ინფრასტრუქტურის დირექტორი

გიორგი მარღანიშვილი